**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თათარაშვილი შოთა მიხეილის ძე

შ. თათარაშვილი

თათარაშვილი შოთა მიხეილის ძე (1. I. 1922, თბილისი, – 14 VII. 1975, იქვე), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1973–75), მშენებელი. 1946 დაამთავრა სპი (ახლანდ. სტუ). მუშაობდა სპეციალობის მიხედვით. 1948-იდან კომკავშირულ სამუშაოზეა: იყო თბილ. საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართვ. ცკ-ის მეორე მდივანი, 1952-იდან კი – საქართვ. კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი, თბილ. საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1953-იდან მუშაობდა ცკ-ის აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1965–71 იყო საქ. სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი, 1971–73 – სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.